

„მკვიდრი მოსახლეობა აქედან მიდის, სამაგიეროდ, „აფროქართველები“ ჩემოდიან და მრავლდებიან”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 9-15 მაისი, № 19, 2012

საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობა თანდათან იზრდება. ასე მაგალითად: 2012 წლის მარტში შემოსული გზავნილების რაოდენობამ 108,1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 5.4 მლნ დოლარით მეტია გასული წლის მარტის მაჩვენებელზე. რით არის გამოწვეული ეს ზრდა და რა როლს ასრულებს ფულადი გზავნილები ჩვენს ეკონომიკაში? – ამ, და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლადო პაპაია**:

– ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების რაოდენობის დადგენა საკმაოდ ადვილია, რადგან ეს ინფორმაცია სისტემატურად იბეჭდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე. რა თქმა უნდა, ეს არის ინფორმაცია საბანკო არხებით შემოსული ფულის შესახებ, სხვა გზებით შემოსული ფულადი გზავნილების დათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა ფაქტია, რომ ბოლო წლებში ფული ქვეყანაში ძირითადად საბანკო არხებით შემოდის, რადგან საბანკო სისტემა ასე თუ ისე განვითარდა. სურათი დაახლოებით ასეთია: თუ არ ჩავთვლით კრიზისულ 2008-2009 წლებს, ქვეყანაში წლის განმავლობაში საშუალოდ ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის ფულადი გზავნილი შემოდის. აქედან სადაც 60 პროცენტამდე არის გზავნილები რუსეთიდან, დანარჩენი კი ყველა იმ ქვეყნიდან, სადაც ჩვენი თანამოქალაქეები ცხოვრობენ. მოგეხსენებათ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი გასულია საზღვარგარეთ და ისინი ინახავენ თავიანთი ოჯახებს საქართველოში. ძირითადად ეს არის მცირე ოდენობის თანხები, თუმცა, გზავნილები სასიცოცხლო ინექციის როლს ასრულებს არა მარტო ამ ოჯახებისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. მარტო ფულად გზავნილებზე რომ ვილაპარაკოთ, ეს შეცდომა იქნებოდა. პირველ რიგში უნდა დავიწყოთ მსჯელობა ჩვენი საგარეო სავაჭრო ბალანსით, რომელიც მკვეთრად უარყოფითია: დღესდღეობით იმპორტი 4-ჯერ მეტია ვიდრე ექსპორტი. წესითა და

რიგით, ამ განსხვავების გამო ღარი უნდა გაუფასურებულიყო, მაგრამ ეს არ ხდება რამდენიმე მიზეზის გამო: მართალია, საგარეო ვაჭრობაზე ვკარგავთ უცხოურ ვალუტას, მაგრამ იმავე ვალუტას ვიძენთ სწორედ ფულადი გზავნილებით. ერთ-ერთი სერიოზული წყარო, რომლის წყალობითაც ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოდის, სწორედ ეს გზავნილებია. ასევე მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციები და ტურიზმი, რომლებსაც ასევე შემოაქვთ ვალუტა ქვეყანაში; უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა საერთაშორისო დახმარებებიც. სწორედ ამ წყაროების დამსახურებით დღეს ჩვენი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილურია, მაგრამ ეს ხდება არა საქართველოს ეკონომიკის, არამედ ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ფულადი ინექციების ხარჯზე.

– გამოდის, რომ ქვეყანა უცხოეთიდან შემოსული დახმარებების იმედზე არსებობს?

– მეც სწორედ ეს გითხარით. რეალურად ქვეყნის ეკონომიკა პრაქტიკულად განუვითარებელია. წლები გადის და უარყოფითი სავაჭრო სადღო კი არ იკლებს, არამედ იზრდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა არაკონკურენტუნარიანია. ალბათ უპრიანია განვიხილოთ ჩვენი ექსპორტის სტრუქტურაც: მისი 20-21 პროცენტი მოდის მსუბუქ ავტომობილებზე, მაგრამ საქართველო მსუბუქი ავტომობილების მწარმოებელი ქვეყანა რომ არ არის? – ეს არის ქვეყანაში შემოსული უცხოური ავტომობილების რეექსპორტი, მაგრამ ჩვენთან გატარებულია როგორც ექსპორტი. ასე რომ, ექსპორტის მეხუთედი უჭირავს ავტომობილებს, რომელსაც ჩვენი ეკონომიკა არ ქმნის. ქვეყნის ექსპორტში სადღაც 8-პროცენტიაანი წილი უკავია ჯართს. ამდენი ჯართი საქართველოში უკვე აღარ არის, მაგრამ იცით რატომ მივიღეთ ასე მაღალი ეს მაჩვენებელი? – იმიტომ, რომ ახერხაბიჯანული და სომხური ჯართი, რომელიც ფოთის პორტიდან გადის, საქართველოს ტერიტორიას გაივლის – ეს არის ექსპორტი მათთვის, ჩვენთვის კი, პრატიკულად რეექსპორტია. საბოლოოდ გამოდის, რომ თითქმის მესამედი ჩვენი ექსპორტისა, არ არის საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგი. ეს არის უმძიმესი მდგომარეობა, მაგრამ რომ არ არსებობდეს ფულის შემოდინების სხვადასხვა არხები, ქართული ეკონომიკა კიდევ უფრო კატასტროფულ მდგომარეობაში იქნებოდა. საერთოდ, ეკონომიკა უნდა შეფასდეს მისი საექსპორტო პოტენციალით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ისეთი მცირე ზომის ეკონომიკისათვის, როგორიც ჩვენია.

– რით უნდა აიხსნას ფულადი გზავნილების რაოდენობის ზრდა ბოლო ხანებში?

– ფულადი გზავნილების ზრდის ორი მიზეზი შეიძლება დასახელდეს: პირველი – იზრდება ემიგრანტების რიცხვი და მეორე, უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველების შემოსავლები მატულობს. ჩვენ ვიცით რა მდგომარეობაში იყო რუსეთის ეკონომიკა 2008-2009 წლებში, როგორც კი იქ კრიზისული ვითარება დაძლეულ იქნა, გზავნილებიც გაიზარდა. რეალურად ზრდა ამ ორი მიზეზით არის განპირობებული.

– ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მოსახლეობის 26 პროცენტი ემიგრაციაში ცხოვრობს. რამდენად სერიოზულია ეს რიცხვი?

– ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია, რადგან გამოდის, რომ მოსახლეობის მეოთხედზე მეტი ქვეყნიდან არის გასული. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობის მეოთხედმა აქ არსებობის წყარო ვერ ნახა. ძალიან დიდია სეზონური მიგრაციის წილიც, როდესაც რაღაც სამუშაო ჩნდება, მოსახლეობის ნაწილი მიდის საზღვარგარეთ და შემდეგ უკან ბრუნდება.

– როგორც ქართული ოპოზიცია ირწმუნება, ამას საკმაოდ მოხერხებულად იყენებენ არჩევნების დროს.

– ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. წარმოიდგინეთ რამდენი ამომრჩეველი დაიკარგება წელს რუსეთში იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს და ამის გამო საარჩევნო ყუთები ჩვენი მოქალაქეებისათვის რუსეთში არ დაიდგმება. ბუნებრივია, რომ ემიგრაცია საკმაოდ კარგი წყაროა მანიპულაციებისათვის, თუკი ხელისუფლებას ასეთი რამის გაკეთებას მოისურვებს.

– ბატონო ლადო, ხშირად ისმის საყვედური, რომ ქართველები ზარმაცები არიან და ამიტომაც გარბიან უცხო ქვეყნებში

– მოდით, გავიხსენოთ, რომ უცხოეთში ჩვენი თანამემამულეების უმრავლესობა მძიმე შრომას ეწევა. როგორ, ქართველი კაცი წავიდა და რუსეთში რომელიღაც მეტალურგიულ ქარხანაში, ან მშენებლობაზე დაიწყო მუშაობა, როგორ ფიქრობთ, იმავეს აქ არ გააკეთებდა? თანაც, იქ ბინა აქვს დასაქირავებელი და მისთვის უცხო გარემოში ცხოვრობს. ამიტომ, მოდით, ნურც იმის ტრაბახს დავიწყებთ, რომ ქართველი კაცი განსაკუთრებით შრომისმოყვარეა და ნურც თვითგვემას მივეცემით, რომ უზარმაცესი ხალხი ვართ. რა თქმა უნდა, ჩვენ დიდად ვაფასებთ მწარე სიმართლეს, რომელიც თავის

დროზე დიდმა ილიამ გვითხრა ლუარსაბ თათქარიძის მხატვრული სახის შექმნით, მაგრამ არც ილიას უთქვამს, მთელი ქართველი ერი თათქარიძის მსგავსიაო. ჩემი აზრით, არც განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოვიჩნევი და არც განსაკუთრებული სიზარმაცით, ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ხალხი ვართ. მე პირადად, არა ერთი და ორი ქართველი ქალბატონი ვიცი, რომელიც მომვლელის ძალიან მძიმე, დამამცირებელი შრომით არის დაკავებული უცხოეთში, მაგრამ სხვა გზა, რომ ოჯახი შეინახოს და შვილებს განათლება მისცეს, მათ უბრალოდ არა აქვთ.

– ბოლო ხანებში ჩვენი ხელისუფლება უფრო ხშირად ლაპარაკობს ქვეყნის რეაბილიტაციაზე. ახლახან დაიწყეს მსჯელობა კახეთის, წყალტუბოს რეაბილიტაციაზე და ა.შ

– წყალტუბოს რეაბილიტაციაზე საუბრისას ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ პრეზიდენტმა თქვა სიმართლე, რომლის თქმისგანაც აქამდე თავს იკავებდა: მომეცით დაახლოებით ოთხი წელი და ამ ქალაქს ტურიზმის მექად გადავაქცევო, რითაც გვითხრა, რომ ის მართლაც აპირებს პრეიერ-მინისტრობას. პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე მას წელიწადნახევარზე ცოტა მეტი დარჩა, მაგრამ კიდევ ითხოვს 4 წელიწადს. ამით, წყალტუბოში მან პრაქტიკულად აღიარებითი ჩვენება მისცა საზოგადოებას. არ მინდა მკითხველმა ისე გაიგოს, რომ მე ცუდად აღვიქვამ აღმშენებლობას, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ეს ყველაფერი ხშირად ფიქციაა. მაგალითად: ზარ-ზეიმით გაიხსნა ანაკლიის კურორტი, ითქვა, რომ იქ აიგო უნიკალური ხიდი, რომელიც საერთაშორისო კონკურსში უნდა ყოფილიყო წარდგენილი, მაგრამ მოვიდა წვიმა და აღიდებულმა ენგურმა ეს ხიდი უეცრად წაიღო. ზარ-ზეიმით გაიხსნა საკონცერტო დარბაზი ბათუმში და პირველივე კონცერტზე, წვიმამ რომ დასცხო, ჭერიდან წყალი წურწურით ჩამოდიოდა. გავიხსენოთ თბილისის აეროპორტი, რომლის სახურავიც ქარმა წაიღო. ახლა ნახეთ რა საინტერესო ამბავი ხდება – 26 მაისს უნდა ჩატარდეს პარლამენტის პირველი სხდომა ქუთაისში. სააკაშვილი ამბობს, რომ შენობა 26 მაისს უნდა დასრულდეს, იმავედროულად საქართველოს მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, 26 მაისს პარლამენტი მხოლოდ ნაწილობრივ იქნება დასრულებული. ასეთი პრობლემები საქართველოში სამწუხროდ, ძალიან ბევრია, ამიტომ, როცა რაღაც შენდება და კეთდება, კარგია, მაგრამ როცა ერთხელ გაკეთებული უნდა გაკეთდეს მეორეჯერ, ეს ცუდია. აღამაშენებლის გამზირის გალამაზება ყველას ახარებს, მაგრამ ჩამოსულმა სტუმარმა რა იცის, იმ გალამაზებული ფასადის მიღმა რა

ხდება. აბა მიდით და ჰკითხეთ ხალხს, რომელიც იქ ძველ, გაუბედურებულ სახლებში ცხოვრობს. ამიტომ ჩვენ გვჭირდება არ ფასადური წინსვლა, არამედ რეალური, ამ შემთხვევაში ჩვენი თანამოქალაქეებიც არ გაიქცვიან ქვეყნიდან, რადგან ქართველი ერი თავისი ბუნებით არ არის მომთაბარე ერი, დღეს კი, როდესაც თუნდაც ოფიციალური სტატისტიკა მეუბნება, რომ მოსახლეობის მეოთხედი ემიგრაციაშია, ეს ნიშნავს, რომ აქ უმძიმესი ეკონომიკური ვითარებაა. ამ ფონზე საქართველოს მთავრობამ პარლამენტში შეიტანა ღიმილისმომგვრელი ინიციატივა, რომ უნდა შეიქმნას დიასპორის პარლამენტი. იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ ეს ხალხი როგორმე სამშობლოს დაუბრუნდეს, არამედ ცდილობენ, რომ მათთვის შეიქმნას რაღაც ფსევდო პარლამენტი აბსოლუტურად გაუგებარი ფუნქციითა და ასევე გაუგებარი არჩევნებით. რის მიღწევა უნდათ, სრულიად გაუგებარია. როცა ასეთ კანონს იღებ, უცხოეთში გადახვეწილ შენს მოქალაქეს ეუბნები – იყავი იქ, სადაც ხარო. სამაგიეროდ, ჩვენთან ძალიან კარგად მრავლდებიან „აფროქართველები“, ამერიკაში მათ აფროამერიკელებს უწოდებენ და ჩვენც რაღა დაგვრჩენია, სტილი უნდა შევინარჩუნოთ და ვთქვათ, რომ ისინი „აფროქართველები“ არიან.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე